სოფიო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, საკუთრებაში გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ლეილა თამარაშვილი (პ/ნ 31001001457) დაკავებული ფართი - 22.96 კვ.მ და მადონა გოგოხია (პ/ნ 62006055630) დაკავებული ფართი - 39.60 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 62.56 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული 2024 წლის 1 თებერვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობის“ კრების ოქმით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

სოფიო დოდონაძის მოხსენებით, „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N241183.1335 განკარგულებისა და „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პრობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულების საფუძველზე, ცვლილება შევიდა „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში შევიდა ცვლილებები და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დანართი 1-ით განსაზღვრული პირთა სია და დანართი 2-ით განსაზღვრული შეთანხმების პროექტი თავის დანართთან ერთად.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებულ დანართი 1-ით განსაზღვრულ პირთა სიის პირველი პუნქტის მონაცემ „სართული და ბინასა“ და დანართი 2-ით განსაზღვრული შეთანხმების პროექტის დანართის პირველი პუნქტის მონაცემ „სართული და ბინაში“ დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა და ნაცვლად „სართული 2, ბინა N5, ბლოკი C1-ისა“ მიეთითა „სართული 6, ბინა N33, ბლოკი C1“. ყველა სხვა მონაცემი, მათ შორის, საკადასტრო კოდი და ფართობი შესაბამისობაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან.

„ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N241183.1335 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 აგვისტოს N24.1401.1576 განკარგულებით, გასწორდა ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N241183.1335 განკარგულების დანართი 1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღუბა ელიაშვილისთვის (პ.ნ: 01024004555) გადასაცემი ფართის სართულისა და ბინის მონაცემი და ნაცვლად „სართული 6, ბინა N33, ბლოკი C1“-სა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სართული 2, ბინა N5, ბლოკი C1“, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N241183.1335 განკარგულების დანართი 2-ით განსაზღვრული შეთანხმების პროექტის დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღუბა ელიაშვილისთვის (პ.ნ: 01024004555) გადასაცემი ფართის სართულისა და ბინის მონაცემი და ნაცვლად „სართული 6, ბინა N33, ბლოკი C1“-სა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სართული 2, ბინა N5, ბლოკი C1“.

მომხსენე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ: 01030045284) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, მანანა გოგიას (პ/ნ: 01030045284 გადაეცემა საბურთალოს ქ. N26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.10.17.003.028) იჯარით, 10 წლის ვადით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია სულხან ცინცაძის ქ. N4-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.015.01.001). აღნიშნული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით იყო გაცემული 2024 წლის 5 იანვრამდე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 28.04.2011წ. N01-4//122 ბრძანებით. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის კიბისთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მანანა გოგიასთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლის ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1296 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით ირინე გველესიანისთვის (პ/ნ: 01008023229) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, ირინე გველესიანს (პ/ნ: 01008023229)) განმეორებით, იჯარით გადაეცემა, ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.04 5მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული პქონდა აღნაგობის უფლებით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.10.14.031.010.01.603.075) კიბის მოწყობის მიზნით სარგებლობას გაუვიდა ვადა. აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე აზომვის შედეგად 4 კვ.მ-ის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი N01.10.14.031.066 საკადასტრო კოდით. მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, აღნიშნული სააგენტო არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 720 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 ლარის ოდენობით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუოკოსთვის“ (ს/ნ: 412768535) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, შპს „ფუოკოს“ (ს/ნ: 412768535) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N10-ში მდებარე N01.14.11.010.002.01.553 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს .აღნიშნული სამსახური წერილობით თანხმობას აცხადებენ მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავს, რომ ღია კაფეს

მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მოთხოვნები. თანხმობას აცხადებს ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება, შპს „ფუოკოსთვის“ (ს/ნ: 412768535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის, 2026 წლის 1 მარტამდე ვადით. იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, იოსებძის ქ. N53-ში მდებარე 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ: 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, ნანა მაისურაძეს (პ/ნ: 010200001449) იჯარით გადაეცემა, თბილისში, იოსებძის ქ. N53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.018) , 5 წლის ვადით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია იოსებძის ქ. N53-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.17.006.01.500). აღნიშნული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით იყო მისთვის გადაცემული 2023 წლის 24 სექტემბრამდე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 13.05.2011წ. N01-4//180 ბრძანებით.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის კიბისთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 432 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნანა მაისურაძისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ხარაიძისთვის (პ/ნ: 01010004194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, თამაზ ხარაიძეს (პ/ნ: 01010004194) იჯარით გადაეცემა კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.036). აღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია პეკინის გამზ. N37-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.016.01.516.026). აღნიშნული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით იყო მისთვის გადაცემული 2024 წლის 7 ივლისამდე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 13.05.2011წ. N01-4//189 ბრძანებით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილის თანახმად, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის კიბისთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, წერილის თანახმად, არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი, ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 34-ე მუხლით დადგენილი რეგულაციების დაცვით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 15 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 432 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თამაზ ხარაიძისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 15 წლის ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (ს/ნ: 404449049) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოლონაძის მოხსენებით, შპს „გალაქსი ინვესტი“ (ს/ნ: 404449049) გადაეცემა ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.022) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის საკუთრებაშია ქ.თბილისში, გალაქტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული N01.15.05.074.004.01.674 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (დოკუმენტი N7141935 (ოქმი N28; 25.07.2024.წ.). აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.022) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული N01.15.05.074.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან და ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება, შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (ს/ნ: 404449049) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.022) 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 5 700 ლარით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ: 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების

დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ: 01024008500) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ: 01024008500), შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმდა „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №3-ში, სართული 1, ბლოკი 9, ბინა №283, ფართით: 75 კვ.მ (ს/კ: 01.10.13.015.112.02.283).

ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა), უნდა უზრუნველყო ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №3-ში, სართული 3, ბლოკი 8, ბინა №260-ზე, ფართით: 60.60 კვ.მ (ს/კ: 01.10.13.015.112.03.260) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტი, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის (გარდა საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილებით შესრულებისა) ითვალისწინებს პირგასამტეხლოს 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მის შესრულებამდე.

ქონების შემძენმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო ვალდებულების (ს/კ: 01.10.13.015.112.03.260 რეგისტრირებულ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია) შესრულების მიზნით საჯარო რეესტრს მიმართა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, არასწორად შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, ქონების შემძენს უსაფუძვლოდ მოეთხოვა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ არასწორად დადგენილი ხარვეზის გამო, ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება (არაუგვიანეს 31.05.2024 წლისა, ს/კ: 01.10.13.015.112.03.260 რეგისტრირებულ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია) ნაცვლად 2024 წლის 31 მაისისა, შესრულდა ვადის დარღვევით - 2024 წლის 05 ივნისს, შესაბამისად, ქონების შემძენს ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან (01.06.2024 წ.) ვალდებულების შესრულებამდე (05.06.2024 წ.), რაც **ჯამში შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სახეზე გვაქვს, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ: 01024008500) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1307.1442 განკარგულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 01 ივნისიდან 05 ივნისის ჩათვლით პერიოდზე, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში - 500 ლარის ოდენობით) გენადი თავართქილაძის (პ/ნ: 01024008500) გათავისუფლება.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.081), ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფიო დოდონაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებლებით

დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღებია მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, განიხილება სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონების გადაცემის საკითხი. აღნიშნული პირები წარმოადგენენ იმ მესაკუთრეებს რომლებსაც, ამ სამშენებლო ობიექტში ფართები საკუთრებაში რეგისტრირებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასევე, ის პირები, ვისაც, რაიმე გარიგებით და სხვა სამართლებრივ საფუძველზე აქვთ საკუთრებაში მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შემოხსენებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ფიზიკურ პირთა საკუთრებად დარეგისტრირებული ასეთი ფართები. ამასთან, სანაცვლო ფართები გადაეცემათ ყიფშიძის ქ. N5ბ-ში არსებულ ფართების მიღებასთან დაკავშირებით ამ ფართების მიმღებ პირთა მხრიდან რაიმე შესასრულებელი ვალდებულებების მიუხედავად, ასეთი ვალდებულებების შესრულების გარეშე (ასეთი ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 21.03.2024წ. N24.464.518 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემის თაობაზე, საპრივატიზებო პირობებით, რაც ითვალისწინებდა მათ ფართზე რეგისტრირებული მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობას. შემდგომი პროცედურების განხორციელებისას გამოვლინდა შემაფერხებელი გარემოება - ოთარ იოსელიანის გარდაცვალება. შემდგომში, ნანა იოსელიანის 21.06.2024წ. განცხადებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, ბლოკი I, მე-7 სართულზე რეგისტრირებული N16 ბინა (ს/კ: N01.14.14.003.143.02.016) დარეგისტრირდა ნანა იოსელიანის საკუთრების უფლება, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ გადასაცემად განსაზღვრული ერთ-ერთი ბინა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.043) საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა განახლებული მისამართის მონაცემებით.

აღნიშნული გარემოებები საჭიროებს საკითხში გათვალისწინებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ეს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 21.03.2024წ. N24.464.518 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას და განახლებული გადაწყვეტილების მიღებას, მოთხოვნილი ბინების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ნანა იოსელიანისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, საპრივატიზებო პირობებით, რაც გულისხმობს მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული 857 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი N01.14.04.028.019) შესყიდვის თაობაზე“.

სოფიო დოდონაძის მოხსენებით, ინფრასტრუქტურის სამსახურის დაკვეთით მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და პ.ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის სამუშაოები. როგორც ინფრასტრუქტურის სამსახური განმარტავს, აღნიშნული გვირაბის მშენებლობის სამუშაოების განხორციელების პროცესში, გამოიკვეთა ახალი გარემოებები. კერძოდ: მიმდინარე ეტაპზე სამუშაოებს აფერხებს თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა #4-ში მდებარე 857 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების (ს/კ #01.14.04.020.019) კერძო საკუთრებაში არსებობის ფაქტი, ვინაიდან, ხსენებული სამუშაოები აღნიშნული ქონებისათვის საფრთხის შემცველია. შესაბამისად სამსახურის მიერ მოთხოვნილია დაჩქარებული წესით N01.14.04.028.019 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების მიზნით შესყიდვა

(ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით) და ამ მიზნით წარმოდგენილი იქნა სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის მიხედვით (ს/კ #01.14.04.020.019) უძრავი ქონების მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 2 314 773 ლარი. შეფასება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ვაკანტური მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება და მეორე ეტაპი შესაფასებელი შენობა-ნაგებობების ღირებულების განსაზღვრა დანახარჯების მეთოდით. შემდგომში მხარის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ღობისა და არსებული მცენარეების შეფასება. სამივე დასკვნით დადგენილი ღირებულებები ჯამურად შეადგენს 2 444 525 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის ქუჩაზე მიმდინარე გვირაბის მშენებლობის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და იგი მნიშვნელოვანია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მესაკუთრეებისთვის შეთავაზებული იქნა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების მიზნით შესყიდვა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ დადგენილი ღირებულებების შესაბამისად, რაზედაც მესაკუთრებმა თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ შესყიდვა განხორციელდება არა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე მოთხოვეს კერძო საკუთრებაზე არსებული მცენარეების და ღობის ღირებულების გადახედვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ #01.14.04.020.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია იპოთეკა სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ, შესაბამისად გამყიდველისათვის ნასყიდობის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს აღნიშნული იპოთეკის გათვალისწინებით. კერძოდ განისაზღვრება ორი შესაძლებლობა: 1. თუ გამყიდველი იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებამდე, მათ ნასყიდობის საფასური აუნაზღაურდებათ სრულად. 2. თუ ხელშეკრულების გაფორმებამდე #01.14.04.020.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე იპოთეკა არ იქნება გაუქმებული, სააგენტო თავად უზრუნველყოფს იპოთეკის გაუქმებისათვის საჭირო დონისძიებების გატარებას და იპოთეკის გაუქმებისათვის საჭირო თანხა გამოაკლდება ნასყიდობის საფასურს და გამყიდველს აუნაზღაურდება მხოლოდ დარჩენილი თანხა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად წარმოდგენილია ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული უძრავი ქონების (857 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე ფაქტობრივად განთავსებული შენობა-ნაგებობების, ასევე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ღობისა და მცენარეების) (საკ/კოდი N01.14.04.028.019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შესყიდვის საკითხი. ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა 2 444 525 ლარი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე